



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„16 იანვარი“ 2014 წელი

ეგზ N2

სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგება *მ/2100*
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან ერთად
2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	6
დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	7
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11
ფორმა N1 - ბალანსი 2011.....	22
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011.....	23
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2011	24
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ 2011	25
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2011.....	26
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2011	27
ფორმა N1 - ბალანსი 2012.....	28
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2012.....	29
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ - 2012.....	30
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - 2012	32
ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ - 2012.....	33

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ (შემდეგში „სააგენტო“) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს (ბალანსის დანართებს): ანგარიშები ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშები წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშები სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიშები არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, ანგარიშები ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ და ანგარიშები ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

უიმედო დებიტორული დავალიანება

2011 წელს აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების ანგარიშიდან (8200) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოიწერა 241,510 ლარის უიმედო დებიტორული დავალიანება. აღნიშნული ოპერაცია აისახა ბალანსის დანართ ფორმა N3-სა და ფორმა N5.1-ში, მაგრამ არ აღრიცხულა ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში - „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“.¹

არაფინანსური აქტივები

- ჩვენ არ დავსწრებოვართ 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით აღნიშნული თარიღებისთვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების სისწორესა და სისრულეში. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის და 2012 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების სისწორეში, თუმცა სააგენტოს მიერ 2011 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა 383.2 ათასი ლარის დანაკლისი. გამოვლენილი დანაკლისის თანხები ბუღალტრულ ანგარიშზე – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ (1440) და ბალანსის ფორმა N1-ის მუხლში „მოთხოვნები დანაკლისებით“ არ არის ასახული. ამასთან, დანაკლისის სახით გამოვლენილ არაფინანსურ აქტივებზე 2011 წელს დარიცხულია ცვეთა 995 ლარის ოდენობით.²

ასევე, 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა 384.9 ათასი ლარის დანაკლისი (მათ შორის 383.2 ათასი ლარი 2011 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისი). გამოვლენილი დანაკლისის თანხები ბუღალტრულ ანგარიშზე – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ (1440) და ბალანსის ფორმა N1-ის მუხლში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ასახული არ არის. ამასთან, დანაკლისის სახით გამოვლენილ არაფინანსურ აქტივებზე 2012 წელს დარიცხულია ცვეთა 737 ლარის ოდენობით.³

- 2011-2012 წლებში ბალანსის შესაბამის მუხლებში თანხობრივად არ არის აღრიცხული 15 ერთეული 4,178 მ² ფართის არასაცხოვრებელი შენობა და 20 ერთეული 30,707 მ² ფართის მიწის ნაკვეთი.
- 2012 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, არასწორად არის გაზრდილი 11,016.4 ლარით, რაც უკავშირდება ქ. თბილისში სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებს.⁴
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილისა⁵ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების მიუხედავად, იმ პირობებში, როდესაც (500 კგ - 6,897.00 ლარის ღირებულებით) ბრომეთილის გაზის ქ. თბილისის საწყობიდან გაწერასთან დაკავშირებით სააგენტოს ბუღალტერიას რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენია, მაინც განხორციელდა ქ. თბილისის საწყობიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის გადასაცემად 500კგ ბრომეთილის

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-14 მუხლის 27-ე პუნქტისა და 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები;

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-13 მუხლის 38-ე პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნები;

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-13 მუხლის 38-ე პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნები;

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-18 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-15 პუნქტის და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტების და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის (ოფისის ხარჯები (223)) და ძირითადი აქტივები (311)) მოთხოვნები.

⁵ 2012 წლის 17 იანვრის N01-01-08/148

გაზის გატანა. იმის გამო, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არ განხორციელდა შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით დოკუმენტალურად უზრუნველყოფა, (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება) არ მოხდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და 500 კგ რაოდენობის ბრომეთილის გამოყენება (გახარჯვა). აუდიტის მიმდინარეობისას, აღნიშნული მაღალტოქსიკური და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის საშიში ნივთიერება ყოველგვარი შესაბამისი საბუთის გაფორმების გარეშე. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალურ სამმართველოს 2013 წლის 11 ივლისის N77 წერილის შესაბამისად ინახებოდა საწყობში, რომელიც მდებარეობს ქ. ოზურგეთში კოსტავას ქ. N79-ში. აღნიშნული საწყობი არ ირიცხება სააგენტოს ბალანსზე და სააგენტოს არა აქვს გაფორმებული რაიმე ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ საწყობის მფლობელთან ბრომეთილის გაზის შენახვაზე. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები გახდა საფუძველი იმისა, რომ 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ქ.თბილისის საწყობში დაფიქსირდა ბრომეთილის გაზის დანაკლისი, ხოლო ქ. ოზურგეთში სააგენტოს გურიის რეგიონალურ სამმართველოში ბრომეთილის გაზის ნაშთი ბუღალტრულად არ აღრიცხულა;⁶

სააგენტოს 2014 წლის 10 იანვრის N585 წერილის თანახმად 500 კგ ბრომეთილი დაბრუნებულია თბილისის საწყობში და მისი განადგურების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა გარემოს დაცვის საერთაშორისო პროექტთან.

შემოსავლები

2011 წელს ბალანსის დანართი ფორმა N4-ში, ფაქტიური შემოსავლები შეადგენს 813,200 ლარს, ხარჯები კი - 567,910 ლარს, ხოლო ნაშთი ნაცვლად 245,290 ლარისა, წარმოდგენილია 217,969 ლარით (27,321 ლარით ნაკლები).

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სააგენტოს ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები;

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

- 2012 წელს სააგენტოს ქ.თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფულადი დოკუმენტების (სერტიფიკატების, ნებართვების, მოწმობების) ინვენტარიზაცია, თუმცა სააგენტოს რეგიონალურ სამმართველოებში ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. ფულადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის წარდგენა წარმოებდა მხოლოდ ბალანსის ფორმა N5-ის საშუალებით. სხვა რაიმე ფორმით შედგენილი ანგარიშები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი არ ყოფილა.⁷
- აუდიტისპროცესში გამოვლინდა, რომ დაზიანებული ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვები - N003542; N003654; N100105 არ აისახა შესაბამის ჩამოწერის აქტებში და არ იყო ჩაწერილი მათი ექსკლუზიური ნუმერაცია რეგისტრაციის ჟურნალში, რის გამოც ვერ იძებნებოდა ვერც რეგისტრირებულ და ვერც დაზიანებულ ფორმებში. აუდიტის ჩატარების პერიოდში ზემოთხსენებული დაზიანებული ნებართვები მოიძებნა არქივში და არსებული ხარვეზი გამოსწორდა დაზიანებული (გაუქმებული) ნებართვების 18.07.2013 წლის #1708/20 ჩამოწერის აქტში ასახვით;⁸
- სააგენტოში არაფინანსური აქტივების ანლიზური აღრიცხვისათვის 2011-2012 წლებში არ იყო გახსნილი საინვენტარო ბარათები თითოეული საინვენტარო ნომრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. ასევე ასეთ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე⁹;
- 2011-2012 წლებში სააგენტოს ბალანსზე ირიცხებოდა არამატერიალური ძირითადი აქტივები - 15,915 ლარის ოდენობით. აღნიშნულ აქტივებზე აუდიტის პერიოდში (ფორმა N5-ში) ინფორმაცია დარიცხული ცვეთის შესახებ წარმოდგენილი არაა.¹⁰

⁷ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის და სსიპ - შემოსავლების სამსახურის უფროსის ერთობლივი 25.01.2011 წლის N07-3 N195 ბრძანებით დამტკიცებული „ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ფიტოსანიტარული სერტიფიკატების და რეექსპორტის ფიტოსანიტარული სერტიფიკატების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ვეტერინარული სერტიფიკატების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ჰიგიენური სერტიფიკატის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

⁸ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის და სსიპ - შემოსავლების სამსახურის უფროსის ერთობლივი 25.01.2011 წლის N07-3 N195 ბრძანებით დამტკიცებული „ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები;

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები;

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის N615 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიან წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, სააგენტოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველები

ეპიზოდური კეთილსამედობა

- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თურქულის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ჯილდების მიმართ მაღალი რისკის ზონებში და მანიფესტურ კერებში ცხოველთა პროფილაქტიკური იმუნიზაციის, მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-ნიშანდების ღონისძიებების და ბრუცელოზის ფონის შესწავლისათვის ცხოველების გამოკვლევის, ორგანიზების, კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი.

საკოორდინაციო შტაბს დავალებული ჰქონდა ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ინფორმაციის მიწოდება ეროვნული სააგენტოსათვის. აღნიშნული სახის შემაჯამებელი ოფიციალური ინფორმაცია მიმდინარე აუდიტის პერიოდში სააგენტოში წარმოდგენილი არ იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებული „საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარული კოდექსით განსაზღვრული „ა“ და „ბ“ ჯგუფების საშიში გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების“ წესით¹¹, ცხოველების ჯილდების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების ჩატარება უნდა განხორციელებულიყო ყველა მეურნეობაში, ფერმაში, მოსახლეობის კუთვნილ პირუტყვში იმუნიზაციის გეგმის შესაბამისად, მოზრდილი მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვარი, თხა, ცხენი წელიწადში ორჯერ 6 თვის შუალედით გაზაფხულზე და შემოდგომაზე: ხბო, კვიცი, ბატკანი 3 თვის ასაკში რევაქცინაციით 6 თვის ასაკში. ფაქტობრივად, 2011 წელს ჯილდების პროფილაქტიკური აცრები არ ჩატარებული, ხოლო 2012 წელს კი აცრები ჩატარებულია მხოლოდ შემოდგომაზე.

ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლი

2011-2012 წლებში, სააგენტოს არ გააჩნდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლის

¹¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 16.09.2005 წლის N2-217 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარული კოდექსით განსაზღვრული „ა“ და „ბ“ ჯგუფების საშიში გადამდები სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების“ წესების, კერძოდ, „ცხოველების ჯილდებთან ბრძოლის პროფილაქტიკური და საკარანტინო წესის“ მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

განსახორციელებელი წლიური გეგმები და არ ხორციელდებოდა არარეგისტრირებული ან/და ვადაგასული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეალიზაციისა და შენახვის წესების კონტროლი¹².

სურსათის უვნებლობის საელმწიფო კონტროლი

- სურსათის ეროვნულ სააგენტოში, სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტის ფუნქციებს წარმოადგენს სურსათის/ცხოველის საკვების, ჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლი.

2011 და 2012 წლებში სულ რეგისტრირებული იყო შესაბამისად 49,719 და 44,090 ბიზნესოპერატორი. სააგენტომ 2011 წელს სულ შეამოწმა 218 ხოლო 2012 წელს მხოლოდ 421 საწარმო. აქედან გამომდინარე სააგენტო მოიცავს შესამოწმებელი ობიექტების უმნიშვნელო ნაწილს, რამაც 2011 წელს შეადგინა 0.44%, ხოლო 2012 წელს 0.95%.

- სააგენტო ატარებდა შესაბამისი ბიზნესოპერატორების ინსპექტირებებს. თუ ინსპექტირების განხორციელების შედეგად დადგინდებოდა, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტოს ელექტრონულად უნდა გაეცა შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი და ამის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეეტანა სპეციალურ ელექტრონულ რეესტრში¹³.

2011 და 2012 წლებში ბიზნესოპერატორზე შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატების გაცემა არ განხორციელებულა, ვინაიდან სააგენტოს დებულებით არ იყო განსაზღვრული ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი სერტიფიკატის გაცემის უფლებამოსილება და არ არსებობდა აღნიშნული სერტიფიკატის დადგენილი ფორმა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან.

¹² სოფლის მეურნეობის მინისტრის 25.01.2010 წლის N2-8 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის, ან რეგისტრაციის გაუქმებისა და ხარისხის/უსაფრთხოების კონტროლის“ წესის მე-9 მუხლის 1-4 პუნქტების მოთხოვნები.

¹³ „სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები;

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

სახელმწიფო შესყიდვები

- სააგენტოს არ დაუმტკიცებია საკუთარი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, რაც გავლენას ახდენდა საკუთარი შემოსავლებიდან შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. 2011 წელს საკუთარი შემოსავლებიდან შესყიდვების თავდაპირველი გეგმა განისაზღვრა 10,000 ლარით, წლის განმავლობაში კი 23 კორექტირების შედეგად გეგმა გაიზარდა 679,877 ლარით და საბოლოოდ შეადგინა 689,877 ლარი. ასევე, 2012 წელს საკუთარი შემოსავლებიდან შესყიდვების გეგმა დაკორექტირებულია 23-ჯერ, რის შედეგადაც თავდაპირველად განსაზღვრული გეგმა - 763,390 ლარი, გაიზარდა 15.33 %-ით და საბოლოოდ შეადგინა 901,681 ლარი.

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს: შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული მოთხოვნები სააგენტოს სრულად არ გაუთვალისწინებია, ვინაიდან საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმების დამტკიცება და მასში წლის განმავლობაში შესყიდვების კორექტირებები (გაზრდა) ხორციელდებოდა ფაქტობრივ შემოსავლებზე დაყრდნობით სააგენტოსათვის მიმდინარე საჭიროებისა და ახალი გარემოებების წარმოქმნის მიხედვით.¹⁴

წლის დასაწყისში, სააგენტოს არ გააჩნდა საკუთარი შემოსავლებით განსახორციელებელი შესყიდვის გეგმა. აღნიშნულ პირობებში სააგენტომ რიგი შესყიდვები განახორციელა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, მაგალითად:

2012 წელს საკუთარი შემოსავლებიდან, შესყიდვის ერთ კოდზე, ოთხი გამარტივებული შესყიდვით, შეძენილია ჯამში 4,960 ლარის მარაგები¹⁵. შემდგომ, იგივე კოდზე, გეგმას დამატა 3,800 ლარი და ამ შემთხვევაში ჩატარდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. სააგენტომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით საქონელი შეიძინა 2,295 ლარად და დაზოგა 1,505 ლარი. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის და შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნების გათვალისწინებით ხუთივე შესყიდვა ჩასატარებელი იქნებოდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რაც შექმნიდა მეტი ეკონომიის მიღების შესაძლებლობას.

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს. სახელმწიფო შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში. აღნიშნული მოთხოვნები სააგენტოს მიერ რამდენიმე შემთხვევაში არ არის დაცული,¹⁶ კერძოდ:

CPV 03400000 კოდით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტზე (მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები) ბოლო ტენდერები რეგიონების მიხედვით (SPA110024908 - 85მ³ 7,140 ლარის შემა; SPA110024906-85მ³ 10,815 ლარის შემა) გამოცხადდა 27.09.2011 წელს შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულებით 17,955 ლარი, რომელსაც 2011 წლის 30 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი: „ტენდერი არ შედგა“. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე შესყიდვის განხორციელების ნებართვა სამინისტროდან მიღებულია 2011

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები;

¹⁵ აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები;

¹⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის“ მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

წლის 10 ოქტომბერს, რომლის თანახმად სააგენტოს მიეცა უფლება 17,995 ლარის ფარგლებში, 168მ³ საწვავი ხის მასალის (შეშა) შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ამ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობას არ უნდა გადაეჭარბებინა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებისათვის, ასევე, სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო სამინისტროს თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში. მოცემული მოთხოვნები სააგენტოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან აღნიშნული პერიოდიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სააგენტოს საერთოდ არ გამოუცხადებია, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის საფუძლით შესყიდვები განხორციელებული აქვს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანხმობის მიღებიდან 14-73 დღეში, კერძოდ:

შესყიდვის პერიოდი	შესყიდვის ღირებულება ლარებში	ნებართვის მიღებიდან გასული დრო
24.10.2011-28.10.211	7,450	14 დღე
11.11.2011	500	32 დღე
12.12.11-14.12.11	4,300	63 დღე
22.12.2011	500	73 დღე
სულ	12,750	

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - „სურსათის ეროვნული სააგენტო“ საქმიანობას ძირითადად წარმართავს „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“, სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის N2-3 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე;

2011-2012 წლებში სააგენტო თავის ფუნქციებს ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

სააგენტო თავისი ამოცანების შესასრულებლად ფლობს და განკარგავს მისთვის მოქმედი წესით გადმოცემულ სახელმწიფო ქონებას. სააგენტოს გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი და შესაბამისი სახაზინო და ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკში.

სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სურსათის დეპარტამენტი 17 საშტატო ერთეულით;
- ბ) ვეტერინარიის დეპარტამენტი 17 საშტატო ერთეულით;
- გ) ფიტოსანიტარიის დეპარტამენტი 14 საშტატო ერთეულით;
- დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი 27 საშტატო ერთეულით;
- ე) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი 14 საშტატო ერთეულით;
- ვ) სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი 20 საშტატო ერთეულით;
- ზ) მობილური რეაგირების ჯგუფი 10 საშტატო ერთეულით;
- თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი - 14 საშტატო ერთეულით;

სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:

- ა) თბილისის სამმართველო 10 საშტატო ერთეულით;
- ბ) გურიის რეგიონალური სამმართველო 9 საშტატო ერთეულით;
- გ) იმერეთის რეგიონალური სამმართველო 26 საშტატო ერთეულით;
- დ) კახეთის რეგიონალური სამმართველო 21 საშტატო ერთეულით;
- ე) მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველო 11 საშტატო ერთეულით;
- ვ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო 7 საშტატო ერთეულით;
- ზ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო 22 საშტატო ერთეულით;
- თ) სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო 15 საშტატო ერთეულით;
- ი) ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო 18 საშტატო ერთეულით;
- კ) შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო 10 საშტატო ერთეულით;
- ლ) აჭარის რეგიონალური სამმართველო 13 საშტატო ერთეულით;
- მ) აფხაზეთის რეგიონალური სამმართველო 7 საშტატო ერთეულით;

სააგენტოს თავისი ამოცანების შესასრულებლად გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები და ფუნქციები:

- ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა, ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების, ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვა და კომუნიკაცია;

გ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სურსათის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის საფუძველზე სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

დ) პესტიციდების, აგროქიმიკატების, ვეტერინარული პრეპარატების (საშუალებების) და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია და კონტროლი;

ე) წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭება;

ვ) ცხოველების განსაკუთრებით საშიში სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება;

ზ) საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა;

თ) კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ი) ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) საზოგადოების უზრუნველყოფა დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციით საფრთხეებისა და შესაძლო რისკების თაობაზე;

ლ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირება;

მ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ნ) ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს კრიზისული მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა;

ო) კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლება-მოვალეობები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

3. სალარო და მიმდინარე ანგარიში ბანკში

ნაღდი ფულით ანგარიშწორება და სალაროს ოპერაციები ხორციელდებოდა მხოლოდ 2011 წელს. თავდაპირველად სალაროს ოპერაციები აისახებოდა სალაროს წიგნში ხელით ჩანაწერებით, ხოლო შემდგომ კომპიუტერულ სააღრიცხვო პროგრამაში ელექტრონულად. ნაღდი ფულის მიღება ხორციელდებოდა სალაროს შემოსავლის ორდერებით, ხოლო სალაროდან ფული გაიცემოდა სალაროს გასავლის ორდერებით. სააგენტოში მოლარის ფუნქციებს ასრულებდა მთავარი ბუღალტერი. 2012 წლიდან სააგენტო ყველა ოპერაციას ახორციელებდა უნაღდო ანგარიშწორების ფორმით და შესაბამისად არ უსარგებლია ნაღდი ანგარიშწორებით და არც სალაროს ოპერაციები განუხორციელებია.

4. მოთხოვნები

ბალანსის მონაცემებით, 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგენდა შესაბამისად - 762,673 და 808,897 ლარს. 2011 წელს აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების ანგარიშიდან (8200) ჩამოიწერა 241,510 ლარის უიმედო დებიტორული დავალიანება. აღნიშნული ოპერაცია აისახა ბალანსის დანართ ფორმა N3-სა და ფორმა N5.1-ში, მაგრამ არ აღრიცხულა ფორმა N1-ის საცნობარო მუხლში - „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“¹⁷. აღნიშნული თანხა ასევე არ არის ასახული 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

5. ვალდებულებები

ბალანსის მონაცემებით, ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შეადგენდა შესაბამისად - 7,101 და 14,965 ლარს. ვალდებულებებმა 2012 წელს წინასწარ მიღებული შემოსავლებიდან შეადგინა - 18,863 ლარი. დავალიანებები ძირითადად წარმოიქმნა 2012 წელს და დაკავშირებული იყო სააგენტოს ძირითად საქმიანობასთან.

6. არაფინანსური აქტივები

- 2011 და 2012 წლებში ბალანსის შესაბამის მუხლებში თანხობრივად არ იყო წარმოდგენილი 15 ერთეული 4,178 მ² ფართის არასაცხოვრებელი შენობები და 20 ერთეული 30,707 მ² ფართის მიწის ნაკვეთები.
- 2011 წელს და შემდგომ 2012 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციებით გამოვლინდა 384.9 ათასი ლარის დანაკლისი (მოხილური ტელეფონები, ტელევიზორი, პორტატული კომპიუტერები, 0,5 ტონა ბრომმეთილი და სხვა).

გამოვლილი დანაკლისები ბალანსში აისახა „სხვა მანქანა-დანა დადგარების და ინვენტარის“ მუხლში - 1,733 ლარი, „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში - 6,897 ლარი და საცნობარო მუხლში - 376,316 ლარი. აღნიშნული დანაკლისის თანხები ბალანსის მუხლში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ არ ასახულა. სააგენტოს წერილით¹⁸ დანაკლისების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი მასალები (გარდა 6,897 ლარის ღირებულების 0.5 ტონა ბრომმეთილის გაზისა) გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, აუდიტის ჩატარების მომენტისათვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით რაიმე კონკრეტული შედეგი არ დამდგარა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ბალანსზე ერიცხება 1.865 ტონა ბრომმეთილის გაზი, საიდანაც 6,897 ლარის ღირებულების 0.5 ტონა გაზი გადაცემულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის. ბრომმეთილის გაზის გადაცემის საფუძველად წარმოდგენილია გამგეობის¹⁹ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილები²⁰, თუმცა ბრომმეთილის გაზის გადასაცემად კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო იყო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა. აღნიშნული თანხმობის არქონის გამო სააგენტოს ბუღალტერიაში ბრომმეთილის გაზის გაცემა არ დაფიქსირებულა, რამაც გამოიწვია ინვენტარიზაციის დროს დანაკლისი.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-14 მუხლის 27-ე პუნქტისა და 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები;

¹⁸ 2012 წლის 13 იანვრის N02-3-08/03/44 წერილი

¹⁹ 2011 წლის 19 დეკემბრის N1743 წერილი

²⁰ 2012 წლის 17 იანვრის N01-01-08/148 წერილი

სსიპ ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალურ სამმართველოს წერილის²¹ თანახმად 500 კგ. ბრომეთილის გაზი არ იყო გამოყენებული და ინახება ქ. ოზურგეთში²² მდებარე საწყობში. აღნიშნული საწყობი არ ეკუთვნის სააგენტოს, ასევე საწყობის მფლობელთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება ბრომეთილის გაზის შენახვაზე.

ბრომეთილი წარმოადგენს უფერო, უსუნო გაზს. იგი ძლიერი მოქმედების ოზონდამშლელია, არის მაღალტოქსიკური და საშიში ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის. სააგენტოს ბალანსზე არსებული გაზი ვადაგასულია. ვინაიდან სააგენტოს საფუძიგაციო სამუშაოების ჩატარება არ ევალება, სააგენტოში არ არსებობს გაზის გამოყენების სპეციალიზირებული სტრუქტურული ერთეული (ეს ფუნქცია გადასულია კერძო სექტორში).

- 2012 წელს²³ სააგენტოში ჩატარდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფულადი დოკუმენტების (სერტიფიკატების, ნებართვების, მოწმობების) ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციამ მოიცვა მხოლოდ ადმინისტრაციული შენობაში არსებული ფულადი დოკუმენტები. სააგენტოს რეგიონალურ სამმართველოებში მსგავსი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.
- დაზიანებული ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვები - N003542; N 003654; N 100105 არ იქნა ასახული შესაბამის ჩამოწერის აქტებში, რის გამოც ვერ ხერხდებოდა მათი მოკვლევა, ვერც რეგისტრირებულ და ვერც დაზიანებულ ფორმებში. ზემოთხსენებული ხარვეზი გამოწვეული იყო მექანიკური შეცდომით - კონკრეტული ფორმების ნომრების ასახვა არ მოხდა ჩამოწერის აქტებში, ხოლო უშუალოდ დაზიანებული ფორმები ინახებოდა არქივში. აუდიტის ჩატარების პროცესში ხარვეზი გამოსწორდა და ფორმების ნომრები ჩამოწერის აქტში აისახა 2013 წელს²⁴.
- 2012 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, გაზრდილია ქ. თბილისში სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე გაწეული 11,016 ლარის დანახარჯებით. სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება 2012 წლის 13 დეკემბერს გაფორმდა შპს „ზ და ლ კომპანია“-სთან.
- 2011-2012 წლებში ბალანსზე კომპიუტერული პროგრამების სახით (რომელთა განახლებაც განხორციელდა 2011 წელს) ირიცხებოდა არამატერიალური ძირითადი აქტივები - 15,915 ლარის ოდენობით. აღნიშნულ აქტივებზე აუდიტის პერიოდში ცვთა არ დარიცხულა.

7. საკუთარი შემოსავლები და ხარჯები

2011 წელს ბალანსის დანართი ფორმა N4-ში, ფაქტიური შემოსავლები შეადგენს 813,200 ლარს, ხარჯები კი - 567,910 ლარს, ხოლო ნაშთი ნაცვლად 245,290 ლარისა, წარმოდგენილია 217,969 ლარით (27,321 ლარით ნაკლები).

8. სააგენტოს საქმიანობის მიმოხილვა პროგრამების მიხედვით

პროგრამა - „სურსათის უვნებლობა, ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა და მცენარეთა დაცვის უზრუნველყოფა“

ა) ქვეპროგრამა - „ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა“

დასახელება	2011 წელი	2012 წელი
დაზუსტებული გეგმა	226,000	3,319,500
საკასო ხარჯი	221,626	3,217,896
საწვავ-საპოხი მასალები	25,766	229,196
მივლინებები ქვეყნის შიგნით	12,773	16,985
საკანცელარიო და სხვა მასალების შესყიდვა		820

²¹ 2013 წლის 11 ივლისის N77 წერილი

²² კოსტავას N79

²³ 2012 წლის 19 ნოემბრის N165-9 ბრძანება

²⁴ #1708/20 18.07.2013

საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის შესყიდვა		5,880
სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	769,974
კავშირგაბმულობის ხარჯი	-	3,863
რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირადი იგიენისთან დაკავშირებული ხარჯი		13,500
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	46,518	676,983
ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები		73,170
სამედიცინო ხარჯები (ვაქცინაციები, პრეპარატები)	59,584	1,380,453
ექსპერტიზასა და შემოწმებებზე	76,985	37,537
საკონსულტაციო, თარჯიმნის და თარგმნის ხარჯი	-	1,911
სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები	-	7,624

2011-2012 წლებში ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

- თურქულის საწინააღმდეგო აცრები;
- შემთხვევით შერჩევის პრინციპით ჩატარებულია და გამოკვლეულია სისხლის სინჯები თურქულის დაავადებაზე, ბრუცელოზზე, ღორის აფრიკულ ცხელებაზე, ცოფის დაავადებაზე და ჯილეხის დაავადებაზე;
- ქვეყნის მასშტაბით იდენტიფიცირდა 850,899 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- განხორციელდა ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია ცხოველთა საკვებისა და ვეტაფთიაქების სამმართველოს კუთხით;
- ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ექსპორტის კუთხით;
- საქართველოდან ექსპორტირებულ ნედლეულსა და პროდუქტებზე 2011 და 2012 წლებში გაიცა შესაბამისად 1288 და 1336 სერთიფიკატი;

2012 წელს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით „ეპიზოტიური კეთილსაიმედოობა“ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ეპიზოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების და განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში საშუალოდ ორი თვის ვადით აიყვანა 850 შტატგარეშე მომუშავე²⁵, ვინაიდან პროგრამა მიმდინარეობდა შემჭიდროებულ ვადებში. სააგენტოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით რეგიონებში რეგიონალური სამმართველოს უფროსებს დაევალიათ თავიანთი რეგიონის მასშტაბით იმ კანდიდატთა მოძიება, რომლებიც შემდეგში დაასაქმა სააგენტომ. 2012 წელს შტატგარეშე აყვანილ კანდიდატებს, რომელთა შერჩევა არ განხორციელებულა საკონკურსო წესით წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ პირადობის მოწმობის და დიპლომის ასლები; საქართველოს მთავრობის განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ეპიზოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების და განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 3,000,000 ლარი²⁶.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თურქულის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ჯილეხის მიმართ მაღალი რისკის ზონებში და მანიფესტურ კერებში ცხოველთა პროფილაქტიკური იმუნიზაციის, მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-ნიშანდების ღონისძიებების და ბრუცელოზის ფონის შესწავლისათვის ცხოველების გამოკვლევის, ორგანიზების, კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი.

საკოორდინაციო შტაბს დავალებული ჰქონდა ჩატარებული სამუშაოების შემდეგ ინფორმაციის მიწოდება ეროვნული სააგენტოსათვის. აღნიშნული სახის შემაჯამებელი ოფიციალური ინფორმაცია მიმდინარე აუდიტის პერიოდში სააგენტოში წარმოდგენილი არ იყო.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 სექტემბრის N1740 განკარგულება „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

²⁶ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის N1366 განკარგულება „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ეპიზოოტური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების და განსაკუთრებით საშიში დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების შესახებ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის (3,000,000 ლარი) ფარგლებში:

